საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 10

2020 წ. "28" 02

ქ.თბილისი

შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „ჯანდაცვის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ თუ აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ

შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 02 აგვისტოს შპს - საქართველოს უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №03-7892 (ცენტრში რეგისტრაციის №1019250, 2019 წლის 05 აგვისტო) სააკრედიტაციო განაცხადი „ჯანდაცვის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 03 სექტემბრის №782 ბრძანების საფუძველზე, შპს - საქართველოს უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 04 ნოემბრის №1051 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 12 ნოემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი შპს - საქართველოს უნივერსიტეტში, ხოლო 2020 წლის 20 თებერვალს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

თავმჯდომარე

მდივანი

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 28 თებერვალს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

2.5. საბჭომ საქმის მასალების შესწავლისა და ზეპირი მოსმენის შედეგად მიიჩნია, რომ 1.1. კომპონენტი - „პროგრამის მიზნები“ ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ უნდა შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ასევე 3.1 კომპონენტი - „სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება“ ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ უნდა შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, შესაბამისად, მე-3 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

2.6. საბჭომ გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული შემდეგი რეკომენდაცია:

ა) რეკომენდებულია საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობაში იყოს მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით: „მენეჯმენტის ბაკალავრი (0413)“.

2.7. საბჭომ არ გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული შემდეგი რეკომენდაციები:

ა) უნივერსიტეტმა შეიმუშაოს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

ბ) რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში „ფინანსური აღრიცხვა“; „ჯანმრთელობის სამართლისა და ბიოეთიკის საფუძვლები“; „ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის საფუძვლები“; „ჯანდაცვის სერვისები და მათი ორგანიზაცია“; „შესავალი პოლიტიკის პროცესში, ინსტიტუტებსა და მართვაში“; „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, ცხოვრების ჯანსაღი წესი და ქცევის მართვა“; „ჯანდაცვის კვლევის მეთოდები და პროგრამირების მართვა“ და სხვა ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამაზე ქართულენოვანი „რიდერების“ მომზადება, რომელებიც მითითებული იქნება შესაბამის სილაბუსებში;

გ) სასურველია, სტუდენტებს მიეცეთ განმარტებები და ჰქონდეთ შესაძლებლობა სილაბუსში მოიძიონ სასწავლო მასალები;

დ) სასურველია, სტუდენტების მეტი ჩართულობა სხვადასხვა აქტივობებსა და ფორუმებში, რომლებიც შეეხება კარიერულ განვითარებასა და დასაქმებას.

2.8. საბჭოს გადაწყვეტილებით რეკომენდაციების ნაწილში იქნა გადატანილი შემდეგი რჩევა:

თავმჯდომარე

მდივანი

ა) პროგრამის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს დაემატოს მენეჯმენტის მიმართულების კურსები, (არსებული საგნების სილაბუსებში დაემატოს საკითხები სათანადო მოცულობით) რომელიც პროგრამას მისანიჭებელი კვალიფიკაციასთან მიმართებაში გახდის უფრო მდგრადს და უზრუნველყოფს კვალიფიკაციის შესაბამის ცოდნას. კერძოდ, მენეჯერული აღრიცხვა, ბიუჯეტირება, პროექტების მართვა, ოპერაციათა მართვა, პროექტების ფინანსური შეფასება, ინფორმაციული ტექნოლოგიები (ზოგიერთი საკითხი გხვდება სხვადასხვა საგნის სილაბუსში მაგრამ არასაკმარისი მოცულობით).

2.9. საბჭომ მიიჩნია, რომ შპს - საქართველოს უნივერსიტეტს დამატებით უნდა მიეცეს შემდეგი რეკომენდაციები:

ა) დაზუსტდეს პროგრამის მიზნები მენეჯმენტის კვალიფიკაციის შესაბამისად. გახდეს რეალისტური და მიღწევადი;

ბ) პროგრამის საგნები გამდიდრდეს პრაქტიკული სიტუაციებით, მათ შორის ქართული მაგალითებით.

2.10. საბჭოს მიიჩნია, რომ შპს - საქართველოს უნივერსიტეტს დამატებით უნდა მიეცეს შემდეგი რჩევები:

ა) მოხდეს საგნების ფინანსური აღრიცხვა, აღრიცხვა და ფინანსური მენეჯმენტის შინაარსის რევიზია. მაგ. საგანი ფინანსური აღრიცხვა თავისი შინაარსით ფინანსების მენეჯმენტს შეესაბამება;

ბ) პროგრამაში დაემატოს ოპერატიული მენეჯმენტის საკითხები;

გ) განხორციელდეს საათების დატვირთვის რევიზია საგნის (სილაბუსის) შინაარსიდან გამომდინარე. ყველა საგანს მინიჭებული აქვს ერთნაირი კრედიტი და შესაბამისად, ნიშნავს სტუდენტების მხრიდან თანაბარ საათობრივ დატვირთვას, რაც პროფესიისთვის შესასწავლი საკითხების საჭიროებიდან გამომდინარე, არ არის გამართლებული. კრედიტების ამგვარი დაყოფა ერთგვარ მექანიკურ დაყოფას ჰგავს.

3. სარეზოლუციო ნაწილი

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3, მე-5, მე-7 პუნქტების, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს - საქართველოს უნივერსიტეტის 2019 წლის 02 აგვისტოს №03-7892 (ცენტრში რეგისტრაციის №1019250, 2019 წლის 05 აგვისტო) საკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „ჯანდაცვის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 28 თებერვლის №03 სხდომის ოქმის №02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ გაიზიარა/დაამატა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:

თავმჯდომარე

მდივანი

ა) რეკომენდებულია საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობაში იყოს მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით: „მენეჯმენტის ბაკალავრი (0413)";

ბ) პროგრამის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს დაემატოს მენეჯმენტის მიმართულების კურსები, (არსებული საგნების სილაბუსებში დაემატოს საკითხები სათანადო მოცულობით) რომელიც პროგრამას მისანიჭებელი კვალიფიკაციასთან მიმართებაში გახდის უფრო მდგრადს და უზრუნველყოფს კვალიფიკაციის შესაბამის ცოდნას. კერძოდ, მენეჯერული აღრიცხვა, ბიუჯეტირება, პროექტების მართვა, ოპერაციათა მართვა, პროექტების ფინანსური შეფასება, ინფორმაციული ტექნოლოგიები (ზოგიერთი საკითხი გხვდება სხვადასხვა საგნის სილაბუსში მაგრამ არასაკმარისი მოცულობით);

გ) დაზუსტდეს პროგრამის მიზნები მენეჯმენტის კვალიფიკაციის შესაბამისად. გახდეს რეალისტური და მიღწევადი;

დ) პროგრამის საგნები გამდიდრდეს პრაქტიკული სიტუაციებით, მათ შორის ქართული მაგალითებით;

ე) მოხდეს საგნების ფინანსური აღრიცხვა, აღრიცხვა და ფინანსური მენეჯმენტის შინაარსის რევიზია. მაგ. საგანი ფინანსური აღრიცხვა თავისი შინაარსით ფინანსების მენეჯმენტს შეესაბამება;

ვ) პროგრამაში დაემატოს ოპერატიული მენეჯმენტის საკითხები;

ზ) განხორციელდეს საათების დატვირთვის რევიზია საგნის (სილაბუსის) შინაარსიდან გამომდინარე. ყველა საგანს მინიჭებული აქვს ერთნაირი კრედიტი და შესაბამისად, ნიშნავს სტუდენტების მხრიდან თანაბარ საათობრივ დატვირთვას, რაც პროფესიისთვის შესასწავლი საკითხების საჭიროებიდან გამომდინარე, არ არის გამართლებული. კრედიტების ამგვარი დაყოფა ერთგვარ მექანიკურ დაყოფას ჰგავს.

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 6 თვე - 2020 წლის 07 სექტემბრამდე.

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს - 2020 წლის 04 მარტს.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარე — ირაკლი ბურდული

საბჭოს მდივანი — ნიკოლოზ კიკნაძე

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ჯანდაცვის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 24 დეკემბერი, №291
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[5]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მენეჯმენტის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	კვალიფიკაციის კოდი[7]	0413
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო 0171, ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77, I კორპუსი
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 04 მარტი
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა - 6 თვე (2020 წლის 07 სექტემბრამდე)
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 04 მარტი

---

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/6) შესაბამისი კოდი

[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი